

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“
დამხმარე სტრუქტურული ერთეულის – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ (ტექსტში შემდგომ – „სასწავლო უნივერსიტეტი“ ან „დაწესებულება“) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ტექსტში შემდგომ – „სამსახური“) წარმოადგენს დაწესებულების დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.
3. სამსახური თავისი უფლებამოსილებისა და საქმიანობის ფარგლებში ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის დანიშნულებაა განახორციელოს ღონისძიებები სასწავლო და კვლევითი მუშაობის ხარისხის სისტემატური სრულყოფისათვის, იზრუნოს დასაქმებულთა პროფესიული ღონის მუდმივ ზრდაზე და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა. სამსახური უზრუნველყოფს დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნას და ეფექტიან ფუნქციონირებას.
2. სამსახური თავის მუშაობას რამდენიმე მიმართულებით წარმართავს:
 - ა) განათლების ხარისხის კულტურის დამკვიდრება;
 - ბ) ხარისხიანი განათლების მიღების კონკრეტული მექანიზმების დანერგვა და სრულყოფა;
 - გ) შეფასების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების, სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სტიმულირების სისტემის დანერგვა;
 - დ) მეთოდურ-ექსპერტული უზრუნველყოფა, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად, თვითშეფასების დოკუმენტის მომზადება;
 - ე) სწავლების და კვლევითი პროცესების მონიტორინგი და შეფასება;
 - ვ) პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება;
 - ზ) სტუდენტთა მიღწევებისა მხარდაჭერის მონიტორინგი და შეფასება.
3. სწავლების და კვლევითი პროცესების ხარისხის უზრუნველსაყოფად ქმნის შესაბამის მეთოდურ-სარეკომენდაციო დოკუმენტებს.
4. სამსახური შეისწავლის სწავლების ინოვაციურ ტექნოლოგიებს და უზრუნველყოფს მათ პრაქტიკაში დანერგვას.

5. სამსახური ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო მუშაობის შეფასებას, კერძოდ:
 - ა) ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების შეფასებას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი მოდიფიკაციის ან გაუქმების შესახებ;
 - ბ) ანალიზებს და აფასებს სწავლების პროცესის ეფექტურობას ცალკეული პროგრამის ფარგლებში, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;
 - გ) ანალიზებს და აფასებს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საგანმანათლებლო მუშაობას, სწავლობს დადებით გამოცდილებას, ხელს უწყობს მის განზოგადებას და გავრცელებას;
 - დ) ანალიზებს აკადემიური, მოწვეული პერსონალის და სხვა პერსონალის საქმიანობას. აღნიშნულის გათვალისწინებით ქმნის და განახორციელებს პროფესიული განვითარების მიზნობრივ პროგრამებს;
 - ე) კოორდინაციას უწევს სტუდენტთა მიერ, ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობის ეფექტურობის შეფასებას, ანალიზებს მიღწეულ შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;
 - ვ) ანალიზებს და აფასებს სტუდენტთა მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და მათი მიღწევების მდგომარეობას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი ზრდის პერსპექტივის უზრუნველყოფისა და მხარდაჭერისათვის;
 - ზ) შეისწავლის და აფასებს სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო-კვლევითი რესურსების მდგომარეობას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;
 - თ) შეიმუშავებს კვლევითი მუშაობის შეფასების ინდიკატორებს და სტანდარტებს;
 - ი) ანალიზებს და აფასებს აკადემიური პერსონალის კვლევით მუშაობას;
 - კ) კოორდინირებს უწევს ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესს.

6. სამსახურის ამოცანებია:
 - ა) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება და მოდიფიცირება;
 - ბ) კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) სწორი გამოყენების უზრუნველყოფა;
 - გ) სტუდენტთა შეფასების ძირითადი მეთოდების ჩამოყალიბება და შეფასების სწორი გამოყენების მონიტორინგი;
 - დ) კვლევითი მუშაობის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
 - ე) თვითშეფასების პროცესისათვის შესაბამისი პროცედურების განხორციელება და კითხვარების შემუშავება;
 - ვ) სასწავლო უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ მოპოვებული კრედიტების აღიარების წესის შემუშავება;

7. მოვალეობების შეუფერხებლად და კვალიფიციურად შესრულებისათვის სამსახურს უფლება აქვს:
 - ა) განახორციელოს ავტორიზაცია/აკრედიტაციისათვის საჭირო სამუშაოები;
 - ბ) დასვას საკითხი ხარისხის საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტების მოწვევის თაობაზე;

- გ) საუნივერსიტეტო შიდასტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პერსონალის დაკომპლექტების, დატვირთვის რეგულირების, სტუდენტთა მობილობის და ECTS სისტემის სწორი გამოყენების რეგულაციაში.
- დ) სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას განსახილველად წარუდგინოს წინადადებები თანამშრომლების შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
- ე) დასვას საკითხი აკადემიურ პერსონალთან კონტრაქტის შეწყვეტის თაობაზე სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმების, სტუდენტთა გამოკითხვის, კოლეგათა და ადმინისტრაციის შეფასების საფუძველზე;
- ვ) წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნები თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

მუხლი 3. დასკვნითი დებულებები

დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.